საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 56 16/11/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24_ე მუხლის, მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 76_ე მუხლის, პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დაიწყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოება.

მუხლი 2. პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტის პროექტი განსახილველად გადაეცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედ კომისიებსა და ფრაქციებს.

მუხლი3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 86_ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ - დასკვნის, ხოლო საკრებულოს სხვა კომისიებმა, ფრაქციებმა, საკრებულოს წევრებმა და საკითხით დაინტერესებულმა სხვა პირებმა და ორგანიზაციებმა - წინადადებების, შენიშვნებისა და შეფასებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენა საკრებულოს აპარატში უზრუნველყონ, არაუგვიანეს, მიმდინარე წლის 25 ნოემბრისა.

მუხლი 4.საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 85_ე მუხლის, მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნება.

მუხლი 5.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყოს, მიმდინარე წლის 24 ნოემბერს 12 საათზე, ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე (მისამართი დ. ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15).

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180_ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე